განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფა, საერთაშორისო ურთიერთდახმარების მექამიზმების სრულყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-14 და 46-ე მუხლების შესაბამისად, რომელიბიც ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოში საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის გამარტივებული პროცედურის არსებობის შესაძლებლობას, კანონის პროექტით გათვალისწინებულია უცხო სახელმწიფოში სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის გაგზავნის განსაკუთრებული, საგამონაკლისო წესი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლს (უცხო სახელმწიფოში სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის გაგზავნა) ემატება მე-6 ნაწილი, რომლის თანახმადაც, გადაუდებელ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, შუამდგომლობა შეიძლება გადაიცეს ზეპირად, შემდეგ კი დაუყოვნებლივ დადასტურდეს წერილობით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსებასთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების მიღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროქტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი შესაბამისობაშია საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ გამოქმული ცალკეული მოსაზრებები

„კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან დაკავშირებით[1].

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

---

[1] ამერიკის იურისტთა ასოციაცია. ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღნდეგ“ და საქართველოს კანონდმდებლობა, 2006 წელი. ოქტომბერი.